სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

06/12/2024

MES 2 24 0001572024

ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 2 თებერვლის N105472 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 13 ნოემბრის N 1462659 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2024 წლის 14 ნოემბრის N 1464712 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 დეკემბრის N 01-05-04/184 დადგენილების, ,,ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახლმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024 წლის 4 დეკემბრის N1555440 ბრძანებისა და ფაკულტეტთა წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სახელმწიფო სტიპენდია 2024 წლის პირველი ოქტომბრიდან 2025 წლის პირველ იანვრამდე სამი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით დაენიშნოთ ფაკულტეტების მიხედვით ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს (იხ. დანართი);

2. ბრძანება გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებმა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში. მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ